

ლია მელიქიშვილი

სიტუაციური მოდელების როლი საზოგადოებრივ ცნობიერებაში

შესავალი

დასაბამი იყო სიტყვა: „პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი“ (იოანეს სახარება: 1.1).

სიტყვა, როგორც მოდელი, აზროვნებიდან მომდინარე სამშენებლო მასალა და ადამიანთა კომუნიკაციის საშუალებაა, რომელიც ექსპრესიულ (მძაფრად გამოხატველ) კონსტრუქციებს წარმოგიდგენს. სიტყვა საჭიროა ემოციების, აზრების, გარემოებების, მოგონებების, იდეების და სხვათა გამო-სახატავად. სიტყვა, ასევე, ინსტრუმენტია, რომლითაც ვაშენებთ სამყაროს საკუთარ თავში და ჩვენს ირგვლივ. იგი ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს ან, პირიქით, აშორებს. მას შეუძლია ბედნიერების ან უბედურების მოტანა. იგი შემქმნელია როგორც სიყვარულის, ასევე სიძულვილისთვის.

ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: „სიტყვას დიდი ძალა აქვს“. სიტყვას შეუძლია როგორც თვითგანკურნება, ასევე თვითმოკვდინებაც. ის კი არა, როგორც ამბობენ, მას სამყაროს შეცვლაც კი შეუძლია.

შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა თავისთავად, ცალკე აღებული, თუ მას არ გააჩნია სიღრმისეული დატვირთვა, და თუ ის არ წარმოგიდგება, როგორც „მოდელი“, არის მხოლოდ ასოთა კომბინაცია. „მოდელი“ კი რომელსაც სიტყვით გამოვხატავთ, თავისთავში ატარებს გარკვეულ ენერგიას, რომელიც გავლენას ახდენს არა მარტო ერთ ადამიანზე, არამედ ადამიანთა ჯგუფზე, მიკრო და მაკრო საზოგადოებაზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელს სამყაროზეც. მას შეუძლია გამოიწვიოს როგორც სიკეთე, ისე ბოროტება და ამ მიმართულებით ცვლილებები.

სიტყვა-მოდელი არის სამყაროს და საკუთარი თავის აღქმის შესაძ-ლებლობა. მისით გამოვხატავთ ჩვენს შინაგან სამყაროს, რაც სხვებისთვის თვალსაჩინო და გასაგები უნდა იყოს. სიტყვა-მოდელი გვეხმარება ღირე-ბულებების შემეცნებაში, რადგანაც იგი განსაკუთრებული ენერგიითაა დამუხტული.

მეთოდი

კოგნიტიური ანთროპოლოგიის მეთოდები გამოიყენება იმისთვის, რომ გაიგონ, როგორ ფიქრობენ, აღიქვამენ და ორგანიზებას უკეთებენ ცოდნას ადამიანები სხვადასხვა კულტურულ გარემოში. ეს მეთოდები აერთიანებს ანთროპოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მიდგომებს და ფოკუსირებულია ადამიანის გონებრივ პროცესებზე, როგორიცაა მეხსიერება, კატეგორიზაცია, სწავლის უნარები და სოციალური წარმოდგენები. ეთნოგრაფიული დაკვირ-ვება. მკვლევარები მუშაობენ პირდაპირ იმ საზოგადოებაში, რომლის კულ-ტურულ სისტემებსაც იკვლევენ. ისინი აკვირდებიან ყოველდღიურ ქცევებს და იმ რესურსებს, რომლებიც ინდივიდებს ეხმარება ცოდნის ორგანიზებაში.

შედეგი

როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად სიტუაციური მოდელების შესაქმნელად ადამიანები ე.წ. „სიტუაციურ სქემებს“ იყენებენ, რომელებიც უზრუნველყოფენ შემდგომში ინფორმაციის გადამუშავების ეფექტურ სტრატეგიებს და სხვადასხვა სიტუაციას ძირითადად ერთი და იგივე საშუალებით აანალიზებენ. ამის გამო ხშირად ეს სტრატეგია არარელევანტურია მოცემული სიტუაციისათვის. ამგვარად, სქემატური კარკასი სიტუაციის მეტ-ნაკლებად ინვარიანტულია, თუმცა ზოგიერთი სიტუაციისათვის არა ყველა კატეგორია და არა ყოველთვის რელევანტური აღმოჩნდება. ეს შეიძლება იყოს ცრუ ბრალდება, ბოროტი - მზაკვრული ცილისწამება.

მსჯელობა

„მოდელი წარმოადგენს სიტუაციის კოგნიტურ რეპრეზენტაციას: ეს არის ის, რაც ადამიანის ფსიქიკაში, კერძოდ კი კოგნიტურ საცავებში ხდება, როცა ის არის დამკვირვებელი ან მონაწილე სიტუაციისა, როცა ისმენს, ან კითხულობს მის შესახებ. ამიტომ, რასაკვირველია, მოდელში ჩართულია პირადი ცოდნა, რომელიც აქვთ ადამიანებს მსგავსი სიტუაციებისადმი. ეს ცოდნა წარმოადგენს წინა გამოცდილების რეზულტატს, რომელიც მას მსგავსი სიტუაციებთან შეხვედრისას დაუგროვდა. ინფორმაციის ყოველი ახალი ნაწილი გარკვეული სიტუაციის შესახებ, ჩართული ეპიზოდურ მეხსიერებაში, შეიძლება მოდელის გაფართოებისა და სრულყოფისათვის იქნეს გამოყენებული“ (მელიქიშვილი, 2010: 337).

ზოგჯერ ერთ სიტყვა-მოდელს შეუძლია მიმდინარე მოვლენების ისე შეცვლა, რომ ადამიანის, ჯგუფის, საზოგადოების ცხოვრება საფუძვლიანად გარდაქმნას. ამიტომ მნიშვნელოვანია, თუ როგორ ვიყენებთ სიტყვებს და მათი ძალა მუდამჟამ უნდა გვახსოვდეს.

„მოდელები“ შეიძლება შეიცავდნენ ცოდნას იმ სიტუაციის შესახებ, რომელთაც აქვთ უმაღლესი ხარისხის პირადული ხასიათი, მაგრამ, ამასთანავე, მათში მოთავსებულ ინფორმაციის ნაწილს შეიძლება იზიარებდნენ სხვა ადამიანებიც, ან მთელი სოციოკულტურული ჯგუფიც, როგორც ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ისტორიული შემთხვევების „მოდელებში“ ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანის ეპიზოდური ცოდნა სიტუაციის შესახებ შეიძლება იყოს მცირე ან დიდ ხარისხში უნიკალური ან საერთო, ასევე მცირე და დიდ ხარისხში პირადული და სოციალური.

მრავალი სიტუაცია, რომლის მოდელირება ხდება ეპიზოდურ მეხსიერებაში, წარმოადგენს სოციალურ სიტუაციას, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ არა მარტო გვაქვს ცოდნა სიტუაციის შესახებ (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით), არამედ გვაქვს პირადი განწყობა, შეხედულება, წარმოდგენა, ემოცია“ (მელიქიშვილი, 2010: 337).

„ადამიანები სიტუაციური მოდელების შესაქმნელად ე.წ. სიტუაციურ სქემებს იყენებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანები მუდმივად ქმნიან მოდელებს და ეს პროცესი არ არის თვითნებური და არ არის ძლიერ დამოკიდებული კონტექსტზე. ასეთ მოდელებს სამეცნიერო ლიტერატურაში „სოციალური სცენარების სქემებს“ ანუ „სკრიპტებს“ უწოდებენ. გამოცდილებაზე და-

ყრდნობით ადამიანებს უყალიბდებათ მეტ-ნაკლებად სტაბილური კატეგორიები, რის საფუძველზეც იქმნება სიტუაციური მოდელი. ეს არის სიტუაციის, სოციალური გარემოს გადამუშავების მოდელები, რომელებიც უზრუნველყოფენ შემდგომში ინფორმაციის გადამუშავების ეფექტურ სტრატეგიებს და სხვადასხვა სიტუაციებს ძირითადად ერთი და იგივე საშუალებით (რესურსით) აანალიზებენ. ამის გამო ხშირად ეს სტრატეგია არარელევანტურია მოცემული სიტუაციისათვის. ამგვარად, სქემატური კარკასი სიტუაციისა მეტ-ნაკლებად ინვარიანტულია, თუმცა ზოგიერთი სიტუაციისთვის, არა ყველა კატეგორია და არა ყოველთვის, რელევანტური აღმოჩნდება. მოდელი არის როგორც მარტივი, ისე რთული. რთული მოდელი სხვადასხვა მოდელებისაგან შედგება“ (მელიქიშვილი, 2010: 336).

გასაანალიზებელია, თუ როგორ განიხილავენ ადამიანები კულტურულ კონტექსტში განსხვავებულ კონცეპტებს (მენტალურ კატეგორიას, რომელიც გამოიყენება მოვლენების, ობიექტების, სიტუაციების, ქცევისა და ადამიანთა კლასიფიკაციისთვის იმის შესაბამისად, რაც აღიქმება (ან მიიჩნევა ზოგად თვისებებად); აზროვნების ფორმა ან აზრი, რომელიც საგნებსა (სინამდვილის მოვლენებს) და მათ შორის კავშირებს ასახავს განზოგადებული ფორმით ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების ფიქსაციის მეშვეობით) და როგორ ასახავს აზროვნება მათ კულტურულ პრაქტიკებს, ანუ როგორია კულტურული წარმოდგენები და აზროვნება. საინტერესოა, თუ როგორ იხსნავს კულტურის მეხსიერება ინფორმაციას და როგორ მოქმედებს ეს პროცესები, ფაქტობრივ საზოგადოებრივ მემორიალურ ცნობიერებაზე; კოგნიტიური მიდგომით გაანალიზოს, როგორ ქმნის და რისი მნიშვნელობა აქვს ფოლკლორულ და მითოლოგიურ ნარატივებს ადამიანის აზროვნებაში. ანუ, კოგნიტიური ანთროპოლოგიის მიხედვით, როგორ მოქმედებს ადამიანის მორალური, სოციოკულტურული და სემიოტიკური წარმოდგენები ინდივიდუალური და კოლექტიური აზროვნების პროცესებზე. საყურადღებოა, როგორ მოიხსენიებენ ადამიანები კულტურულ ნიმუშებს და როგორ ახდენენ მათ ინტერპრეტაციას სოციოკულტურული გარემოს მიხედვით. ასევე საყურადღებოა, როგორ ურთიერთობს კულტურა და აზროვნების პროცესები და როგორ ახდენს გავლენას ეს ურთიერთობა იმაზე, თუ როგორ ვცხოვრობთ და ვაზროვნებთ დღევანდელ მსოფლიოში.

„საქმე ისაა, რომ რეალური გარემო უშუალო აღქმისათვის ძლიერ მოცულობითი, რთული და სწრაფადცვალებადია. ჩვენ ვერ ვრეაგირებთ ყველაფერზე. მაგრამ ჩვენ ვმოქმედებთ ამ გარემოში და ვახდენთ მის რეკონსტრუირებას უბრალო მოდელით და ამით ვუმკლავდებით მას. ადამიანების შინაგანი წარმოდგენა სამყაროზე არის განსაზღვრული მომენტი მათ აზროვნებაში. „შესაბამისად, მოდელი წარმოადგენს სიტუაციის კოგნიტიურ რეპრეზენტაციას: ეს არის ის, რაც ადამიანის ფსიქიკაში, კერძოდ კი კოგნიტიურ საცავებში ხდება, როცა ის არის დამკვირვებელი ან მონაწილე სიტუაციისა, როცა ისმენს, ან კითხულობს მის შესახებ“ (მელიქიშვილი, 2010: 335).

ჩვენი მცდელობა კოგნიტიური მოდელების კვლევისა ამჯერად ეფუძნება სულ ახლო წარსულში არსებულ მოვლენას, რასაც „არა რუსულ კანონს“ უწოდეს.

როგორც ცნობილია, კოგნიტური ანთროპოლოგია შეისწავლის არა იმას, თუ რა კანონზომიერებით წარმოიქმნება აზროვნება (ის ყველგან ერთნაირ კანონს ექვემდებარება), არამედ იმას, თუ სუბიექტი რა შინაარსს დებს ამა თუ იმ ნააზრევში, რას გულისხმობს თავის გამონათქვამში.

სწორედ ამ გამონათქვამის იმპლიციტურ, ანუ ფარულ აზრს უნდა ჩასწვდეს კოგნიტივისტი ეთნოლოგი და ნააზრევში ასახული კულტურის კონტექსტი გაითვალისწინოს. თუ ვინმესთვის მისაღებია აზრია, რომ დედამიწა ბრტყელია - მისი შემდგომი მსჯელობა ამ მოსაზრების ჩარჩოში წარიმართება, მისი აზროვნების კანონებს დაექვემდებარება. აზროვნების კანონზომიერების კუთხით აქ არ იქნება რაიმე ნაკლოვანება, მაგრამ კოგნიტიურ ანთროპოლოგს სწორედ ის აინტერესებს, თუ როგორია სუბიექტის სამყაროსეული აღქმა, გარემოსა და მენტალური სტრუქტურების შემეცნების სპეციფიკური ხერხი. მთელ რიგ კულტურებში არსებობს სხვისთვის უჩვეულო, გაუგებარი და მიუღებელი წეს-ჩვეულებები, რომელსაც იმ ხალხის კულტურის გათვალისწინება „ამართლებს“ და გასაგებს ხდის. სოციოლოგი უილიამ გრემ სამნერი 1906 წელს გამოცემულ წიგნში – „ხალხური ადათები“ წერს, რომ კულტურა საკუთარი ღირებულებებიდან გამომდინარე და საკუთარ კონტექსტიდან შეიძლება იქნას გაგებული. ამ თვალსაზრისს კულტურული რელატივიზმი ეწოდება ანუ თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, კულტურა შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ მისი საკუთარი ღირებულებებისა და ნორმების მისივე კონტექსტში ანალიზის საფუძველზე. არ არსებობს ე.წ. „სანიმუშო“ კულტურა, ან უნივერსალური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც გაიზომება ამა თუ იმ კულტურის ვარგისიანობა. შეუძლებელია სხვადასხვა კულტურისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალობის „თარგმნა“ ისეთი ტერმინებით, რომლებიც მისაღები იქნება ყველგან და ყველასთვის. ამ თვალსაზრისის თანახმად, შეუძლებელია კულტურათა შეფასება, როგორც „უფრო მაღალის“ ან „უფრო პროგრესულის“, კულტურები უბრალოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ყველა მათგანი უნიკალური და შეუცვლელი ღირებულების მქონეა. **კულტურული რელატივიზმი** შეხედულებაა, რომლის მიხედვით სხვა კულტურები და მათი გამოვლინებების ნაირგვარობა ერთნაირად მოქმედებს ქცევის ფორმირებაზე.

ამერიკელი სოციოლოგის უილიამ გრემ სამნერის წიგნის მკითხველები გაოგნებული დარჩნენ, როდესაც წაიკითხეს, რომ კაციჭამიობასა და ბავშვების მოკვდინებას აზრი ჰქონდა იმ საზოგადოებაში, სადაც ამის პრაქტიკა იყო. (იგივე შეიძლება ითქვას სვანეთში, დემოგრაფიული თვალსაზრისით, გოზის ქვეშ ახალდაბადებულის უპაერობით მოკვდინებაზე, იაპონიაში მოხუცების კლდიდან გადმოგდებასა და სხვ.).

კოგნიტიური ანთროპოლოგი-მკვლევარი აანალიზებს აზროვნებას, ანუ როგორ წარიმართება აზროვნების პროცესი, რა შინაარსია ჩადებული გამონათქვამში და როგორ აისახება ის ენაში, მეტყველებაში. სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა კოგნიტიურ ანთროპოლოგიაში ენის და მეტყველების ფაქტორის მნიშვნელობა; კულტურა იძლევა საშუალებას სწორად „გავხსნათ“ და ავხსნათ კონკრეტული კულტურის წარმომდგენლის ესა

თუ ის გამონათქვამი, რომელიც სწორედაც ენაშია ასახული და სხვაგან ეს წარმოდგენილია - ის, თუ რას ვამბობთ და დამატებით რას ვგულისხმობთ (კოგნიტივისტების კუმირი ავრამ ნოამ ხომსკი, ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლინგვისტი და შემეცნებითი მეცნიერი. მისმა მოღვაწეობამ ენის თეორიის დარგში რადიკალურად შეცვალა ენისა და მისი ბუნების გაგება) (Хомский, 1972).

როდესაც ჩვენ ვამბობთ: კოგნიტიური ანთროპოლოგია შეისწავლის ადამიანის შემეცნებას კულტურულ და კროსს-კულტურულ კონტექსტში... კულტურული კონტექსტის ქვეშ ნაგულისხმებია გეოგრაფიული ლოკაცია, ენა, სოციალური ურთიერთობები, ღირებულებები. უფრო ვრცლად კი კოგნიტიური ანთროპოლოგიის მიზანია გაიგოს და აღწეროს სხვადასხვა კულტურის ადამიანების წარმოდგენები, მათი პირადი აღქმიდან, ხედვიდან და საკუთარი ტერმინოლოგიიდან გამომდინარე, ასევე იმპლიციტური კოგნიტიური სტრუქტურების გამოვლენა, რაც მოცემულ კულტურაში სამყაროს აღქმის, ქცევის რეგულირების და სოციალური ურთიერთობის განმსაზღვრელია. ფაქტობრივად, კოგნიტიური ანთროპოლოგიაში წინა პლანზე გამოდის შემეცნებითი პროცესის ანალოგი ანუ კოგნიცია, რომელიც აუცილებლად გულისხმობს კულტურის კონტექსტს, ვინაიდან, თავად კულტურა ღირებულებების, რწმენების და ტრადიციული ქცევის ნორმების ერთობლიობის სპეციფიკური ფორმაა. კულტურის უამრავი განმარტებაში შეიძლება გამოიკვეთოს ერთი საერთო დებულება, რასაც ყველგან ვხვდებით - კულტურა ადამიანთა ჯგუფის ქცევების რეგულირებასა და გამოცდილების მოწესრიგებას ემსახურება.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ქართულ სამყაროში დღეს? რამდენად ეთანადება ქართული კულტურა „გამჭირვალეობის კანონის“ პოლიტიკურად ანგაჟირებულ ქცევას? როგორც ქართველები იტყვიან: „სად არის ძაღლის თავი დამარხულ“?

წესით, გამოთქმა-მოდელი ”არა რუსულ კანონს“ ნიშნავს ისეთ კანონს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობას არ ემთხვევა, ეთანადება რუსულ კანონმდებლობას და ეწინააღმდეგება ქართულ გარემოს. ამ მოდელს იყენებენ იმისათვის, რომ ქვეყანამ თავი დაიცვას იმ ნორმებისგან, რომლებიც შეიძლება მოვიდეს რუსეთის მხრიდან და არ შეესაბამებოდეს შიდა კანონმდებლობასა და ეროვნულ ინტერესებს. მაგრამ რეალურად რა ხდება?

ხშირად ნათქვამი არ აღიქმება ისე, როგორც ეს რეალობაშია მოცემული. უფრო სწორად კი, ის პოლიტიკური მიზნებისთვის, საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად და კონკრეტული მიზნების მისაღწევად ხორციელდება. გარკვეული სოციალური მოვლენის (ამ შემთხვევაში, მოძრაობის) ჩამოსაყალიბებლად ხდება რეალური ფაქტის გაყალბება, რაც იწვევს წინასწარ განსაზღვრულ კონფლიქტს.

როგორც ცნობილია, უშუალო აღქმისათვის გარემო რეალურად საკმაოდ მოცულობითი, რთული და სწრაფადცვალებადია. ადამიანს უჭირს (და ეს შეუძლებელიცაა), რომ გამოხატოს რეაქცია მის მრავალფეროვნებაზე, მაგრამ იგი იძულებულია, რაღაც ჩარჩოში შეიმეცნოს და იმოქმედოს კი-

დეც, მხოლოდ უფრო უბრალო მოდელების რეკონსტრუირებით, რათა გაუმკლავდეს მას.

ზემოთ მოხსენიებულ მოდელს თავიდან „რუსული კანონი“ ეწოდა. ხოლო მოგვიანებით ის სლოგანად გადააქციეს. ეს გასაკვირი არცაა. ხშირად სამოდელო სიტყვა სლოგანად, ანუ ლოზუნგად გადაიქცევა. ის ასახავს ძირითად იდეას, რომელზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება. ამ დროს ხდება მთავარი გზავნილის, შეტყობინების შერჩევა, რაც უმეტეს შემთხვევაში მოქმედებისკენ მოწოდებას ითავსებს. ლოზუნგების გამოყენება ხდება სხვადასხვა კონტექსტში, მათ შორის, პოლიტიკურში, საზოგადოების ყურადღების მოზილზაციისთვის. ის უნდა იყოს მოკლე, მარტივი და ადვილად დასამახსოვრებელი. ამ დროს გამოყენებული უნდა იყოს რითმა ან სიტყვების თამაში, რათა უფრო მიმზიდველი გახდეს. გააზრებული უნდა იყოს ემოციური სამიზნე, ასევე, რა ემოციური პასუხის მიღება გვსურს.

რა არის ქართულ გარემოში ჩამოყალიბებული ე. წ. „რუსული კანონი“?

ამ სლოგანის რეალური სახელწოდებაა: საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რაც თავის თავში (მხოლოდ დასახელება) შეიცავს შინაარს, რომელიც რეალურად ასე აღიქმება: თუ რაიმე გავლენას აწარმოებს უცხოეთი და ის გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ეს უკანასკნელი უნდა იყოს ყველასათვის ცნობილი, ანუ გავლენა არ უნდა წარმოებდეს ფარულად. ანუ, თუ ცდილობ გავლენის მოხდენას - გაგვაგებინე; და ეს იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული პროექტის კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოეთია. ხოლო უცხოურ ძალად წარმოდგენილია უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების შემადგენელი სუბიექტი; ფიზიკური და იურიდიული პირი; უცხო სახელმწიფოს ან საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული ორგანიზაცია.

კანონი, საქართველოს პარლამენტის მიერ 28 /05/ 2024 -შია მიღებული. აქვე გვინა აღვნიშნოთ, რომ მიღებამდე კანონმა მრავალი სიძნელე და თავდასხმები გამოიარა. ის კი არა, პირველი მცდელობის შემდეგ გაწვეულიც კი იქნა, ხოლო შემდგომ ვეტოც კი დაადო პრეზიდენტმა, რომელიც პარლამენტის მიერ დაძლეულ იქნა.

ჩვენარშევუდგებით კანონის იურიდიული მიმართულებით განხილვას. ჩვენი მიზანია ამ კანონის გარშემო საზოგადოებაში არსებული სიტუაციის ახსნა კოგნიტური ეთნოლოგიის (ანთროპოლოგიის) საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ კანონს გარკვეული სახელწოდება აქვს, იგი არა მარტო ცალკეული პირების, ორგანიზაციების მიერ, ზეპირი თუ წერილობითად, მასმედიაში და სოციალურ ქსელში „უცხოეთის აგენტების კანონად“ მოიხსენიება და მისი საერთო ფონი კი ასეთია: „სახელმწიფოში მიმდინარე ყველა უარყოფითი მოვლენა პარლამენტის უმრავლესობის ბრალია“.

აქ გასაკვირი არაფერია, რადგანაც დღევანდელ საქართველოში ოპოზიციური პარტიების სოლიდარობა უფრო მეტად ერთ პოლიტიკურ სიტუაციაში მყოფთა ერთიანობაა, ვიდრე ზოგადად ოპოზიციურობა.

ჰოლანდიელი ლინგვისტის ტიონ ანდერსენ ვან დეიკის¹ ჰიპოთეზის ფორმულირების მიხედვით, აგების და აღქმის პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის გააზრება მის უკან მდგარი სოციალური სიტუაციისა და მისი კოგნიტიური რეპრეზენტაცია. ვან დეიკი გამოდის იქიდან, რომ ჩვენ ვიგებთ ტექსტს მხოლოდ მაშინ, როცა გვესმის სიტუაცია, რომლის შესახებაც არის მსჯელობა ან გვაქვს შესაძლებლობა წარმატებულად განვახორციელოთ კომუნიკაცია, როცა სოციალური კონტექსტის ტიპს აშკარად ვხედავთ. ამიტომ სცენარები – ანუ ფრეიმები, აუცილებელია ჩვენთვის, როგორც საფუძველი მდგომარეობის მიმდინარეობის ინტერპრეტაციისათვის (Ван Дејк, 1989: 161-186).

ცნობილი ლინგვისტის ნოამ ხომსკის² მიხედვით, მნიშვნელოვანი შედეგი არის თეზისი იმის შესახებ, რომ ადამიანები მოქმედებენ არა იმდენად „რეალურ“ სამყაროში და საუბრობენ არა იმდენად მასზე, რამდენადაც მოვლენების სუბიექტურ მოდელებზე და სიტუაციურ სინამდვილეზე. ასეთ დროს ყოველივეს თავიდან აცილება არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ დამოკიდებულია სწორ ინფორმაციაზე (Хомский, 1972).

ხშირად რამდენიმე მოდელი ქმნის ერთ კონსრუქციას და ის ხდება არა მარტო ძირითადი სლოგანი, არამედ შეიცავს ღრმა და, შეიძლება, შორს მიმავალ შინაარსს. 2012 წელს, როდესაც ოცნებამ არჩევნებში გაიმარჯვა, ყველა არაკანონიერ აგრესიულ მოქმედებაზე, რაც მაშინ მოიმოქმედა წაგებულმა პარტიამ, უფრო ძლიერი აღმოჩნდა პრეზიდენტის მიერ, შეიძლება ითქვას, ტყვიასავით ნასროლი „მოდელი“ – შინაარსით: ახალი

1 ფილიპ ვან დეიკის, ცნობილი ლინგვისტის და დისკურსის ანალიტიკოსის ინტერესის სფეროა ენის მეშვეობით სოციალური სტრუქტურებისა და კოგნიტიური პროცესების ურთიერთქმედობა. იგი იკვლევს, თუ როგორ ყალიბდება დისკურსი და როგორ ისახება სოციალური ურთიერთობები და იდეები. მისი მტკიცებით, სოციალური სიტუაციები და მათი შემეცნებითი წარმოდგენები (ანუ ის, თუ როგორ წარმოვადგენთ და გვესმის ეს სიტუაციები) მჭიდრო კავშირშია ლინგვისტურ პრაქტიკასთან და ენა არა მხოლოდ ასახავს სოციალურ რეალობას, არამედ აქტიურად მონაწილეობს მის შექმნაში და შენარჩუნებაში. მისი ვარაუდით, დისკურსი მთავარ როლს თამაშობს სოციალური ფენომენების წარმოჩენაში და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. მისი თეორიის მიხედვით, დისკურსს შეუძლია გააძლიეროს სოციალური იერარქიები, იდეოლოგიები და სტერეოტიპები. მისი თქმით, კოგნიტიური სქემები და მოდელები, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ სამყაროს აღქმისთვის, ძირითადად ენის მეშვეობით ყალიბდება. ჩვენი საუბარი სოციალურ ჯგუფებზე, მოვლენებსა თუ სხვ. გავლენას ახდენს მათ აღქმასა და ინტერპრეტაციაზე, აქტიურად აყალიბებს ჩვენს გაგებას ამ რეალობის შესახებ.

2 ცნობილი ლინგვისტი ნოამ ხომსკი ძირითადად სტრუქტურულ ლინგვისტიკასა და კოგნიტიურ მეცნიერებაზე ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე სოციალური დისკურსის ანალიტიკაზე. ნ. ხომსკი ვარაუდობს, რომ ენის გაგება და, შესაბამისად, სოციალური ფენომენების გაგება დაკავშირებულია ფუნდამენტურ კოგნიტიურ სტრუქტურებთან. მისი აზრით, ენის გამოყენება შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის და ძალაუფლების სტრუქტურების შენარჩუნებისათვის. ამრიგად, ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ შეიძლება ენა იყოს დაკავშირებული კოგნიტიურ სტრუქტურებთან და როგორ შეიძლება გავლენა იქონიოს სოციალურმა ფაქტორებმა ენაზე.

ხელისუფლების მიერ რუსეთისაკენ გეზის აღება. ანუ ცვლილების მიზეზად ორიენტაციის ცვლილება და არა დესპოტური რეჟიმის დასახელება მოხდა. „რუსეთისკენ წასვლა“ („რუსეთისაკენ მივექანებით“, „ოცნებას რუსეთში შევეყვართ“ და სხვა მისთანანი) კარგად გააზრებული და მომზადებული გამონათქვამი იყო. მისი ავტორი მიხეილ სააკაშვილია. მან პირველმა წამოისროლა ეს „მოდელი“. აშკარაა, რომ ეს ნაუცბათევი ნათქვამი კი არ იყო, არამედ როგორც შემდგომში (უკვე 12 წლის მანძილზე) გამოჩნდა, ახალი სლოგანის შექმნას გარკვეული, კარგად გააზრებული და, ამავე დროს, შორსმინავალი სტრატეგია ედო საფუძვლად. გამონათქვამი „რუსეთისკენ წასვლა“ ლაკონური და შინაარსობრივად „მდიდარი“ აღმოჩნდა. მას შემდგომში მიება ყოველივე რუსული (კინო. თეატრი, მწერლობა, კულტურა, არისტოკრატია, თქვენ წარმოიდგინეთ, რელიგია და წმინდანებიც კი და სხვა უამრავი რამ). აქ დიდი როლს საკვანძო სიტყვა „რუსული“ თამაშობდა. მასზე მიბმული ყოველი სიტყვა უარყოფით კონოტაციაში მიმზიდველ და დასამახსოვრებელ კომბინაციას ქმნიდა. იგი გადაიქცა სტიგმად და სტერეოტიპად. შედეგად ქვეყანაში რუსოფობია დამკვიდრდა. რაც შეეხება „არა რუსულ კანონს“, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ოფიციალური, რაიმე სერიოზული განხილვა არ ყოფილა. უბრალოდ, მრავალი უცხოური თუ საშინაო ორგანიზაცია ცდილობდა უარყოფის მიზეზების ახსნას, მაგრამ ბუნებაში არ არსებობს არცერთი მართებული დასკვნა. კითხვაზე, - რატომ არ უნდა იყოს მიღებული კანონი გამჭვირვალების შესახებ? იყო ზოგადი პასუხი: „იმიტომ“.

ჩვენ ვერ შეუდგებით ამ კანონის ირგვლი გაჩაღებული საპროტესტო მწვავე მოვლენების გაშუქებას, ერთს კი ვიტყვით, რომ ქართული კანონის შედარება რუსული, აზერბაიჯანული და ბელორუსული მსგავსი კანონებისადმი, უმართებულოა, რადგანაც შედარება სამართლებლივი ნორმების მიხედვით კი არ ხდებოდა, არამედ ვითომ და კანონის საფუძველზე განვითარებული მოვლენების შედეგებზე. ანუ, ვითომ, რაც მოხდა რუსეთში, აქაც განმეორდება. ბელორუსში და აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენები, რომელიც ყოველგვარი კანონის მიღებამდეც ხშირი მოვლენა იყო, გაოცებას იწვევს. ნუთუ ცნობილი არ არის ის ფაქტი, რომ ამ ზევით დასახელებულ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები კანონამდე და კანონის შემდგომაც მაინც განვითარდებოდა, რამეთუ იქ ავტორიტარული რეჟიმია. საოცრებაა, რომ საქართველოს უდარებენ ავტორიტარულ ქვეყნებს და ავიწყდებთ, რომ ჩვენთან დემოკრატია მეტ-ნაკლები მაღალი ხარისხითაა შეფასებული საეთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ხოლო ავტორიტარიზმი უკვე 12 წელია უკან მოვიტოვეთ. ხოლო მისი ბელადები და აღმსრულებლები დღეს ისევ მიილტვიან იმ უბედური წლებისკენ.

ხშირად ამერიკის კონგრესმენები და ევროკავშირის პარლამენტარები, ისეთ რამეს იტყვიან, რომ აშკარაა, მათთვის საქართველო სრულიად უცნობი ქვეყანაა. ამასწინათ ერთერთმა კონგრესმენმა „საქართველოს სტრანსპორტო დერეფანთან“ დაკავშირებით ასეთი აზრი თუ შენიშვნა გამოთქვა: საქართველო იმდენად არადემოკრატიული ქვეყანაა, რომ დერეფანში მხოლოდ სომხეთი და აზერბაიჯანი უნდა ჩაერთოს. აქვე აღვ-

ნიშნავთ, რომ არც კი დაინტერესებულა, რომ ეს მაგისტრალი, გარდა რეგიონული დაკავშირებადობისა, ტრანზიტული ვაჭრობის გაუმჯობესების საერთაშორისო ჩქაროსნული მაგისტრალია და ლოჯისტიკური ჰაბის მნიშვნელობა აქვს. ანუ უბრალო ენით, რომ ვთქვთ ეს მაგისტრალი ლიკასა და ნიკას ნახევარი საათით ადრე ბათუმში ჩასასვლელად კი არ გაკეთდა და დაიხარჯა დიდი თანხები, არამედ ეს საერთაშორისო ტვირთბრუნვისთვისაა განკუთვნილი. ანუ ეს მაგისტრალი დიდი ხანია მზადდება. რამდენადაც მახსოვს, სატრანსპორტო გზების გამტარობაში ქვეყნების ჩართვის საკითხში მხოლოდ სომალის ერიდებოდნენ და, ჰოი საოცრებავ, საქართველო სომალის გაუთანაბრეს. საოცარია ეს „ფრეიმიც“, „მოდელიც“ და „კონსტრუქციაც“ - ვერაფერს იტყვი.

მიუხედავად ხელისუფლების მრავალჯერადი თხოვნისა, შენიშვნები გამოეთქვათ კანონის შესასწორებლად, ეს არ გაკეთებულა. ანუ დახმარება ამ მხრივ საერთოდ არ გაწეულა. კი ბატონო, ემლება კანონმდებლებს რაღაცები, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება შენიშვნები და შესწორებები მეგობრული ურთიერთობით და არა მუქარით გადაწყდეს. ანუ, გამოდის, რომ მსოფლიოს მასშტაბით ამ კანონის არსებობა ყველგანაა დასაშვები, საქართველოს გარდა. კიდევ ერთხელ ვამბობ: საქართველოში ასეთი კანონი არ უნდა არსებობდეს - ესაა მთავარი გზავნილი? რატომ? ალბათ ისევ - იმიტომ!!!

ამასობაში, თანდათან, ორი წლის უაზრო რყევების შემდეგ, ოპოზიციის აზრით „გამჭვირვალობის სახელით“ ჩამოყალიბდება ავტორიტარული რეჟიმები სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ. ეს აზრი კი წინასწარ ნაფიქრი და კარგად გაწერილი ბრალდებაა, რომელიც სწორედ კარგად შერჩეული „მოდელების“ საშუალებით დაიბადა. კანონის მიღება გათანაბრებულია „არასამთავრობო ორგანიზაციების აკრძალვასთან“ და ამის სულისჩამდგმელი სულ თითზე ჩამოსათვლელი არასამთავრობოა, რომელთაც საქმის კეთებაზე მეტი ფული აქვთ მიღებული უცხოეთიდან და ყოველი არჩევნების წინ რევოლუციური გადატრიალების მცდელობას ეჭიდებიან..

სინამდვილეში კი კანონის ძირითადი მოთხოვნაა არასამთავრობის დაფინანსების ღიაობა საზოგადოებისათვის. და, რაც მთავარია, საქართველოს კანონი ყველაზე ღმობიერია სხვა ქვეყნების კანონებთან შედარებით. ხელისუფლების ეჭვი იმის შესახებ, რომ ოპოზიციურ პოლიტიკური პარტიები კანონით აკრძალულ უცხოურ დაფინანსებას არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით იღებენ. ხოლო მათი უარი ამ საკითხზე საეჭვოდ გამოიყურება, რადგანაც კარგად დაფინანსებული, აქციის ტრიბუნებზე, პარლამენტის ოპოზიციონერებთან ერთად, რომელსაც კანონმდებლობის საქმიანობისას, ღილაკზე თითი თითქმის არ დაუკარებიათ, მყარდ დგანან და მხოლოდ გადატრიალებით იმუქრებიან. არა აქვთ სურვილი, არჩევნების გზით, კეთილსინდისიერად, წესის მიხედვით, ხელისუფლებაში მოვიდნენ. საარჩევნო მართონში კი მხოლოდ „ოცნების“ განადგურებაზეა აქცენტი, მისი მიწის პირისაგან აღგვის დაპირებით იმუქრებიან. ადამიანებს, რომელთაც არაფერი გაუკეთებიათ, როგორც პარლამენტის წევრებს, ძალიან მსუყე „ფრეიმები“ აქვთ შექმნილი.

სალი აზრი გვეუბნება, რომ გამჭვირვალების კანონი კი არ კრძალავს, არამედ არასამთავრობოებს ინფორმირებას ავალდებულებს. რა არის ამაში ისეთი, რომ მთელი კონგრესი და ევროკავშირი ყალფზე დგას? ნუთუ საქართველოს ამაზე მეტი ცოდვა არ ჩაუდენია. რატომაა ასეთი სიტუაცია?... რატომ? მართლაც პასუხგაუცემელი - „იმიტომ“?

ამ ჭიდილში ოპოზიციის მხრიდან დაფინანსების საქმეში მხოლოდ დასავლური გრანტები ფიგურირებს. სწორედ ესაა საეჭვო, რომ სხვა დაფინანსებები არავის ახსენდება. სხვა დაფინანსებული ჯგუფები კი ხმას არ იღებენ. წყნარად ადევნებენ თვალს მიმდინარე პროცესებს. საქართველოში არის პრობლემური სხვა საკითხებიც და სხვა ლოკაციებიც. ასეთ პრობლემურ საკითხებს სწორედ უცხოეთიდან პატრონობენ და დაფინანსებასაც აძლევენ. მაგალითად, ქვემო ქართლის ე.წ. „ეთნიკური უმცირესობები“ მეზობელი ქვეყნებიდან გარკვეულ მაპროვოცირებელ იმპულსებს იღებენ. აზერბაიჯანული და სომხური თემის კონსოლიდაციის და იდენტობის განმტკიცების საქმეში მონაწილეობენ სომხეთის და აზერბაიჯანის აკადემიური წრეების, ბიზნეს-სექტორის და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რადგან მიაჩნიათ, რომ სასაზღვრო რეგიონში სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის განმტკიცება მათ სახელმწიფო ინტერესებში შედის. აქ მიმდინარე ეთნოსოციალურ პროცესზე გავლენას ახდენს, ასევე, რუსეთი და თურქეთიც (მელიქიშვილი, ჯანიაშვილი. 2020: 121-132).

ამ მიმართულებით ასევე საინტერესოა მაჰმადიანობასთან დაკავშირებული საკითხების პოპულარიზაციისა აჭარაში და ვაჰაბიზმის პრობლემები პანკისში.

გამჭვირვალობის კანონზე, რა თქმა უნდა, გამოცდილმა იურისტებმა იმუშავეს. იმედია, ყველაფერი გაითვალისწინეს. მე არ ვარ იურისტი და იურიდიულ შენიშვნებს ვერ გავაკეთებ. ჩემი გადმოსახედიდან კი მრავალი სპეციალისტი და არასპეციალისტი ჩაჰკირკიტებს კანონს და სოციალურ ქსელში უამრავი შენიშვნაა წარმოდგენილი, მათ შორის, „ის უბედურება“, რაც შეიძლება „არასამთავრობო ორგანიზაციებს“, არამედ ქართველ ხალხს დაატყდეს თავს. მაგალითად: დოკუმენტაციის შესასწავლად იუსტიციის სამინისტროს ენიჭება უფლებამოსილება, გამოითხოვოს პერსონალური ინფორმაცია, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (ამას ასე შეიფრავენ: ფიზიკური პირის რასობრივი და ეთნიკური კუთვნილება, სქესობრივი ცხოვრება, პოლიტიკური შეხედულება, რელიგიური, ფილოსოფიური ან სხვაგვარი მრწამსი, აგრეთვე – ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები). ღმერთო, მართლა საშინელებაა, ეს თუ მართალია. მაგრამ კანონსაც ხომ წაკითხვა უნდა და რამდენადაც ვიცი, მთავარი აღსრულებაა. საიდან მოიტანეს პერსონალური მონაცემების ასეთი მრავალმხრივი სპექტრი?

და კიდევ: „გარდა საინფორმაციო წყაროებისა, ბრმა უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ დაინახო ევროკავშირის და ამერიკის დაფინანსების შედეგად აღდგენილი ისტორიული ძეგლები და ციხე-მონასტრები (და არა, ეკლესიას არავინ ებრძვის). კულტურული ძეგლები თუ არ გადარდებთ, ჯანმრთელობა

ხომ მაინც ყველას გვადარდებს? რუსეთში იმავე კანონის საფუძველზე დიაბეტიტით დაავადებულთა მხარდამჭერი ორგანიზაციაც კი დახურეს, იგივე სიტუაციის წინაშე რომ აღმოჩნდეს C ჰეპატიტის მკურნალობის მიმღები პაციენტები, მაშინ რას ვაკეთებთ?“ (სოც. ქსელი).

გასაოცარია, მაგრამ თავისი „კონსტრუქციებით“ ოპოზიციონერები ევროკავშირისა და ამერიკის დახმარებას, მეგლების აღდგენასა, სკოლების რეაბილიტაციასა, ლუგარის ლაბორატორიისა და სხვათა დაფინანსებაში პატივს მიაგებენ. ადგილობრივი მეცენატის ძალისხმევას იმავე საკითხებში და უფრო მეტშიც, ანათემაზე გადაცემის მზადყოფნაში არიან, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში რესპონდენტი მოსთქვამდა, რომ „ამერიკელებმა 20 სკოლას ჩაუტარეს რეაბილიტაცია და აწი რა ეშველება საქართველოს“. გასაოცარია, რომ არ იცოდა, ან არ უნდოდა ეთქვა, რომ იმავე მეცენატმა საქართველოს 400 სკოლას ჩაუტარა რეაბილიტაცია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რყევები კანონის შესახებ საკმაოდ აგრესიულად ვითარდებოდა და მოდელი „არა რუსულ კანონს“ იცვლებოდა სლოგანით „არა ოცნებას“, „არა ოცნების მთავრობას“.

დავუშვათ, რომ ყველას თავისი სიმართლე აქვს და თავისი გადმოსახედიდან ყველა მართალია. მაგრამ სად არის ჭეშმარიტება?

ამას პასუხს ისტორია თუ გასცემს.

დასკვნა

როგორც აღვნიშნეთ, ზოგადად სიტუაციური მოდელების შესაქმნელად ადამიანები ი.წ. „სიტუაციურ სქემებს“ იყენებენ, რომელებიც უზრუნველყოფენ შემდგომში ინფორმაციის გადამუშავების ეფექტურ სტრატეგიებს და სხვადასხვა სიტუაციას ძირითადად ერთი და იგივე საშუალებით აანალიზებენ. ამის გამო ხშირად ეს სტრატეგია არარელევანტურია მოცემული სიტუაციისათვის. ამგვარად, სქემატური კარკასი სიტუაციის მეტნაკლებად ინვარიანტულია, თუმცა ზოგიერთი სიტუაციისათვის არა ყველა კატეგორია და არა ყოველთვის რელევანტური აღმოჩნდება. ეს შეიძლება იყოს ცრუ ბრალდება, ბოროტი - მზაკვრული ცილისწამება.

გასათვალისწინებელი კი ალბათ ქვემოთ მოყვანილი ამონარიდია:

მე-XX საუკუნის დასაწყისში ფსიქოლოგებმა პირველებმა მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება ძალადობასა და კონფლიქტს. ამ ორ ფენომენს ისინი ადამიანისათვის ნიშანდობლივი ”ომისმოყვარეობის“ ინსტინქტით ხსნიდნენ. ამ თვალსაზრისმა განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ზ. ფროიდის ფსიქოანალიტიკურ მიმდინარეობაში, მაგრამ აგრესიის ინსტინქტის იდეასთან იგი უცებ არ მისულა. თავდაპირველად ზ. ფროიდი (Freud, 1964), თავისი მოწაფის, ავსტრიელი ფსიქოლოგის ა. ადლერისაგან განსხვავებით აგრესიის თეორიის წინააღმდეგი იყო. ა. ადლერმა ჯერ კიდევ 1908 წელს ჩამოაყალიბა „აგრესიის ინსტინქტის“ თეორია. ეს ინსტინქტი, მისი აზრით, ემსახურებოდა თავკაცობისათვის (ლიდერობისთვის) ბრძოლას, რომელიც ადამიანის ქცევის ძირითადი მოტივია (Adler, 1924)

უფრო მოგვიანებით, 1920 წლის დასაწყისში, ზ. ფროიდი დაუბრუნდა თავის პირვანდელ პოზიციას, კარგად გააანალიზა და შეიმუშავა თეორია

„ადამიანის ორბუნებოვნების“ შესახებ, რომლის თანახმად განუწყვეტელი ბრძოლა არსებობს ორ ინსტინქტს - სიცოცხლის (სიყვარული) და სიკვდილის (ნგრევა) ინსტინქტებს შორის. სიკვდილის ინსტინქტის შედეგია როგორც თვითნგრევა, ასევე გარეგნული აგრესიის ფორმა. ამიტომ ომები კაცობრიობას მუდამ თან სდევს და ეს მკაცრი აუცილებლობაა. ა. ადლერი ამტკიცებდა, რომ სოციალიზაციის პროცესში მშობლების დისციპლინარული ზეგავლენის შედეგად ბავშვებს უვითარდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი, რომლის დაძლევა იწვევს ადამიანის სწრაფვას ხელისუფლებისაკენ, რასაც აგრესიასთან მიყვავართ (პანკისის კრიზისი, 2002: 317).

ასეთ მოდელებს, ჩემი აზრით, ზ. ფროიდის და ა. ადლერის მიერ განმარტებული ბელადომანია უნდა დაემატოს და მივიღებთ ქართულ სინამდვილეში არსებულ ფენომენს, რომელიც არა თუ 2 წელს, ან 12 წელს, არამედ შესაძლებელია ათწლეულებსაც კი გაუძლოს. გააჩნია, კიდევ როგორ სახეს მიიღებს ეს სოციალური მოდელი, და როგორ კონსტრუქციად გადაიქცევა - ამ ბრძოლაში შესაძლებელია მან საუკუნეებსაც გაუძლოს.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სიტყვა მოდელს და მისგან შექმნილ კონსტრუქციას გაცილებით მეტი ძალა აქვს, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია. გავიხსენოთ ებრაელების ფიქცია „სისხლის ცილისწამება“, ანუ რიტუალური მკვლელობის ლეგენდა:

ისტორიაში ცნობილია სამწუხარო ამბავი „სისხლის ცილისწამების“ შესახებ ებრაელები პირველად რომის იმპერიაში რიტუალური მიზნებისთვის სისხლის გამოყენებაში დაახლოებით 2000 წლის წინ დაადანაშაულეს. შემდგომში ქრისტიანებმა განსაკუთრებული ძალისხმევა გამოიჩინეს და მე-12 საუკუნიდან დაიწყო რიტუალური მკვლელობების ბრალდებების გავრცელება, ხოლო ასი წლის შემდეგ ისევ ტყუილი ბრალდება სხვადასხვა მაგიური და რიტუალური მიზნებისთვის მსხვერპლთა სისხლის გამოყენებაზე. მე-17 საუკუნეში კი ცილი დასწამეს, რომ ებრაელებს სისხლი სჭირდებოდათ მაცის მოსამზადებლად. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ კომერის წესი კრძალავს საკმელში სისხლის მოხმარებას. წესის მიხედვით, მაცაში არაფერი არ უნდა იყოს ფქვილისა და წყლის გარდა - მარილის დამატებაც კი შეუძლებელია. აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით პოლონეთსა და ლიტვაში, სისხლის ცილისწამებასთან დაკავშირებული ბოლო დარბევები 1946 წელს მოხდა. გავიდა ასი წელი და ჯერ კიდევ პასექის დღესასწაულამდე გამაღიზიანებელი რეგულარობით გავრცელდა ჭორები, რომ ებრაელებს ადამიანის სისხლი სჭირდებოდათ მაცასთვის.

ამის საუკეთესო მაგალითია - მოვლენები დღეს საქართველოში „არა რუსულ კანონს“ და გუშინ - „სისხლის ცილისწამება“, ანუ რიტუალური მკვლელობის ლეგენდა: ანტისემიტიზმი პროექციული ინვერსიის პრიზმაში. და ხვალ?

„ძაღლის თავი“ კი ეტყობა მდიდარი ენჯელების კორუფციაში და სატრანსპორტო დერეფანზე, ანაკლიის პორტის მშენებლობაზე უარის თქმაში, დასვლეთიდან ომის პროვოცირების ინტერესშია „დამარხული“.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

იოანეს სახარება.

მელიქიშვილი, ლ. (2010). ეთნიკური სიტუაციების კოგნიტური მოდელები. ჟურნ. „ანალები“. № 6. თბილისი.

მელიქიშვილი, ლ. (2022). კულტურის კრიზისი საზოგადოების კრიზისია. წიგნში: „პანკისის კრიზისი“, *უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები*. თბილისი.

მელიქიშვილი, ლ. ჯანიაშვილი, ლ. (2020). ინტერკულტურული ურთიერთობა და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები ქვემო ქართლში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებში, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*. № 1. თბილისი.

Хомский, Н. (1972). *Язык и мышление*. Москва: Изд. МГУ.

Ван Дейк, Т.А. (1989). *Язык, познание, коммуникация*. Москва.

Freud, S. (1964). *Why war//War: Studies from Psychologi, Sociolodgi and Antropologi*.

Adler, A. (1924). *The Practice And Theory Of Individual Psychology* (1 ed.). London: Kegan Paul, Trench, Trubner & Co. 1999.

REFERENCES

L. Melikishvili, L. Janiashvili, “Intercultural Relations and Problems of Civic Integration of the Armenians and Azerbaijanians Living in Kvemo Kartli”, *Proceedings of the Georgian National Academy of Science. Series of History, Archeology, Ethnology and Art History*. No. 1, 2020

A. Adler, *The Practice And Theory Of Individual Psychology*, (London: Kegan, Paul, Trench, Trübner & Co, 1999)

Gospel of John

L. Melikishvili, “Cognitive models of ethnic situations”, *Annals*, No. 6, 2010

L. Melikishvili, “*Pankisi crisis*”, *ethnic aspects of security strategy*, Tbilisi, 2022

Noam Chomsky, *Language and mind*, Moscow, 1972

Teun A. Van Dijk, *Language, Cognition and Communication*, Moscow, 1989

LIA MELIKISHVILI

THE SIGNIFICANCE OF SITUATIONAL MODELS
IN PUBLIC CONSCIOUSNESS

Abstract

In general, situational models are created using so-called “situational schemes.” This means that people are continually creating models, which is not random and does not depend heavily on circumstances. The term “social scenario schemes” is used in the literature to describe these models. People generally form solid categories depending on their experiences, from which a “situational model” is developed. These are situational models that give appropriate information processing techniques and analysis that diverse circumstances with the same resources. Consequently, this method is frequently inappropriate for the current scenario. It is constant, however that not all categories will be applicable in some cases. It could be a false charge or an insidious slander. The clearest example of this is yesterday’s “non-Russian law” events in Georgia, also known as the mythology of ritual murder: Antisemitic via the lens of projected inversion. And what should we expect for tomorrow?

Keywords: Cognitive anthropology, situational model, word, culture, not Russian law.